ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

Иск.

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. ქ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

9 ნოემბერი
ოთხშაბათი
1918. ვილჰელმ მეორემ ტახტზე ხელი აიღო ულტიმატუმის გამო, რომელიც წარუდგინა რეიხსტაგის სოც.-დემოკრატიულმა ფრაქციამ.
1917. ოქტომბრის რევოლიუციის გადატრიალების დასაწყისი მოსკოვში (შეტაკებები იუნკერების ჯარებთან).

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ 10 ს.—2 ს.
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის და ფასი
და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

დღიური
ოქტომბრის რევოლუციის 4 წლის აღსანიშნავად რუსეთის აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოსცა საერთო ამნისტია.
ჩინეთში იფეთქა რევოლუციამ. ჯარის ნაწილი რევოლუციონერებს მიემხრო.

№ 206 ოთხშაბათი, 9 ნოემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 9 ნოემბერი, 1921 წ. № 206

„ქართველი ხალხი განიკურნა ბოლშევიზმის სენისაგან“!

ეს განაცხადა ქართველ მენშევიკების მამამთავარმა ნ. ჟორდანიამ გასული წლის ოქტომბერში. გერმანელი ხიშტებით ჩაქრობილი აჯანყებები მთელ რიგ მაზრებში, შემდეგ ანტანტას ჯარების დახმარებით ბურჟუაზიული „წესიერების“ დამყარება საქართველოში მენშევიკებმა გაასაღეს როგორც ქართველი მშრომელი ხალხის გამოფხიზლება, როგორც მისი ჩამოშორება საბჭოთა ხელისუფლებისაგან, როგორც მის მიერ უარყოფა მშრომელთა დიქტატურისა მდიდრებზე, აზნაურებზე, მემამულეებზე.

მართალია, იგივე ჟორდანია ერთი წლით ადრე, როცა მთელი საქართველო გახვეული იყო აჯანყების ალში და ზოგი „სოციალდემოკრატი“ ყოყმანობდა, თავისუფლებისთვის—მემამულეების წინააღმდეგ მდგარ სოფლის პროლეტარებს როგორ დაუმიზნო თოფი, როგორ გადავწვა მისი ქოხი და ისიც ვილჰელმის გენერლების და ლეიტენანტების დახმარებით და ხელმძღვანელობით—იგივე ჟორდანია აქეზებდა თავის მხევლს აჯანყებულთა დასარბევად ვითომდა მარქსისტული მოძღვრებით: გლეხი ყველგან და ყოველთვის რეაქციონერი იყო და არის, გლეხ იმამ დაჰლუპა ყველა რევოლიუციები და ქალაქის მუშების მოვალეობაა „სისტემატიური, შეუწყვეტელი“ ბრძოლა აწარმოონ გლეხობის წინააღმდეგ, მის დასამორჩილებლად, მის გასანადგურებლად... და როცა მენშევიკების ხარაზნებმა, მენშევიკებისავე გაზეთების ყვირილოვან გამოთქმით „მთელი საქართველო მოიარეს“ და გრიალით ამცნეს ახალი მთავრობის არსებობა“-ო, როცა ქალაქის მშრომელთა რევოლიუციონური ნაწილიც ციხეებში მოაქციეს ან ეტაპით გადაგზავნეს ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით, მაშინ ამცნეს ქვეყნიერებას: ქართველი ხალხი განიკურნა ბოლშევიზმისაგან, მუშაც და გლეხიც (ჩამომავლობით რეაქციონერათ გამოცხადებული წინეთ) ჩვენ, მენშევიკების ბანაკში არიან და ზიზღით, მძლავრებით უპასუხებენ ბოლშევიზმის, საბჭოთა ხელისუფლების მოციქულებსო.

ჯერ იმ ხანათვე გასცეს პასუხი საქართველოს მშრომელებმა მენშევიკების ცუღლუტურ მანიფესტს: მთელი რიგი პროფესიონ. კავშირების არჩევნების მარცხით დასრულდა მენშევიკებისათვის. რკინისგზელთა მესამე ყრილობა (1920 წლის დეკემბერი) ხომ საარაკო სკანდალს და დამარცხებას უმზადებდა მბრძანებელ პარტიას: ცხადი იყო, რომ ბოლშევიზმის ნამდვილი ეპიდემიის სურათი გადაიშლებოდა ამ ყრილობაზე. მენშევიკებმა ჟანდარმერიის სადამსჯელო იარაღი ამუშავეს და მომავალი ყრილობის დელეგატები სანახევროთ ციხეებში დაასადგურეს.

საბჭოთა ხელისუფლების „მუწუკი“ საქართველოს მშრომელი ხალხის ტანში დაფანტულს.

მარა უკურნებელმა სენმა კვლავ იჩინა თავი, და დღეს ამ ეპიდემიით მოცულია საქართველოს მუშების და გლეხების უფართოესი მასსები.

საკმარისი იყო ერთი თვალით დანახვა იმ დიდი სურათის, რასაც წარმოადგენდა თბილისი გუშინწინ, 7 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლიუციის 4 წლის თავის დღესასწაულს, რათა იმაში დარწმუნებულიყო თვით ურწმუნო თომა. ის ზღვა ხალხი-მუშა, მშრომელი ინტელიგენცია, წვრილი ხელოსანი, დიდი და პატარა—რომელიც [illegible] საბჭოთა თბილისის ქუჩებში და გაეშურა დიდუბის მოედნისაკენ; ის აღფრთოვანება, რაიც ეჩნეოდა ყველა მონაწილეს, ის მტკიცე რწმენა, რომელიც აღბეჭდილი იყო თითეული მონაწილის სახეზე, ის ალტყინება, რომელიც გამოიხატებოდა ოქტომბრის რევოლიუციის დროშის ქვეშ დარაზმულ ათი ათასობით თავმოყრილ მშრომელთა ყოველ გამოძახილში, ყოველ მოძრაობაში მომასწავებელი იყო სულ სხვა სენისაგან განკურნებისა: ფართო უპარტიო მასსამ და თვით მენშევიკური „მოქეიფის“ უმეტეს ნაწილმა ხელი ჩასჭიდა საბჭოთა გადატრიალების დროშას, გამოეხმაურა რუსეთის მებრძოლ პროლეტარიატს, რომლისაგან ის ჩამოშორებული იყო სამი წლის განმავლობაში იმპერიალიზმის ლაქიების წყალობით.

როცა წვრილი შინამრეწველნი რამდენიმე დღით ადრე დელეგაციას აგზავნიან დღესასწაულის მომწყობ კომისიაში თხოვნით—ჩვენც მოგვეცით მონაწილეობა, ბევრ ალაგს არ დაგვიკავებთ პროცესიაში; სულ 15 ათასი კუსტარი ვართ ჯერ-ჯერობით გაერთიანებული—ეს უდიდესი გამარჯვებაა საბჭოთა ხელისუფლების, რომელიც ეყრდნობა არა მარტო მუშებს და სოფლის ღარიბ-ღატაკთ, არამედ ყველა პატიოსან მშრომელს, მათ ინტერესებს აცხადებს უზენაეს კანონად, მათი თანაგრძნობით არის ძლიერი.

როცა თბილისის ქუჩები აივსო უამრავ ბავშვთა მხიარული ჟრიამულით, იმ ბავშვთა, რომელნიც დავიწყებული ჰყავდათ მუდამ როგორც ბურჟუაზიულ მთავრობებს და მათ შორის მენშევიკებსაც—როცა ეს მომავლის ჯარი ოქტომბრის დღეს რამდენიმეთ „დაპურებულიც“ დარჩა საბჭოთა თანამშრომლების მიერ მადლიერებით შეკრებილ ტკბილეულობით და ხილეულობით, აგრეთვე საბჭოთა საწყობებიდ ნაც ერგოთ საჩუქრები და ავტომობილებით გრიალის დროს იძახდენ „გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობასო“—ჩვენ ვამბობთ: ეს გაუზომელი მნიშვნელობის მოვლენაა. საბჭოთა საქართველოს საიმედო რეზერვები ეყოლება ამ დღეს კმაყოფილი და მომხიარულე ათიათასეული ბავშვების სახით.

ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულმა გამოამჟღავნა ის, რაც ზოგიერთისთვის დაფარული იყო: საბჭოთა ხელისუფლების, მშრომელთა დიქტატურის ფესვები ღრმად მიდის მშრომელთა მასსებში, საზრდოობს, ძალღონეს იძენს შრომის ნიადაგში.

ნეტავ ეს გუშინწინდელი სურათი ეხილათ საკუთარი დემოკრატიული თვალით ჟორდანია-კედია-რამიშვილებს! ვიცით, მათი დემოკრატიული თვალი ვერ გაუძლებდა ასეთ სანახაობას და მათი გულიც გასკდებოდა, მარა ერთ დასკვნას მაინც გამოიტანდენ: რომ საბჭოთა მოძრაობის დაფუძნებაში, ბოლშევიზმის სენით გამოცნობა-მკურნალობაში ისინი სასაცილოთ გამტყუნდენ, ბეითალის გამოცდილებაც კი ვერ გამოიჩინეს.

დღეს ყველა ქვეყნის ხალხი ასე საიმედოთ და ასეთსავე მოკლე ხანში „განიკურნოს“ ბოლშევიზმისაგან, როგორც განიკურნა საქართველოს მშრომელი ხალხი!

ქართული პრესა

ჩვენს გაზეთებში გამოქვეყნებულ დოკუმენტს, იმპერიალისტებთან მენშევიკების მოლაპარაკების შესახებ, გამოეხმაურენ ქართველი სოციალისტ-რევოლიუციონერებიც. მათი ორგანო „შრომა“ (№ 5) სწერს მის შეახებ სხვათა შორის შემდეგს (ხაზ გასმული ყველგან „შრომა“-სია.)

„ჩვენთვის საქ. სოც.-რევოლიუციონერებისათვის ამ დოკუმენტში ახალი და მოულოდნელი არაფერი არის, ვინაიდან ვისაც არას დროს არ სჯეროდა მენშევიკების სოციალისტობა, ვისაც არ ჯეროდა მათი პატრიოტიზმი, მას დოკუმენტი ახალს ვერაფერს ეტყვის, ხოლო ვისაც სჯეროდა მენშევიკების სოციალისტობა, მათი მამულიშვილობა, ის ამ დოკუმენტიდან ბევრ რამეს გაიგებს, მისთვის ეს დოკუმენტი მართლაც რომ საინტერესო იქნება.

ეს დოკუმენტი თითქმის ერთად ერთი დოკუმენტია, სადაც მენშევიკები ხმამაღლა ლაპარაკობენ.

აი ამ მხრით არის ეს დოკუმენტი ჩვენთვის საინტერესო.

მენშევიკებმა ქვეყანა გააყრუეს: ერთად ერთი სოციალისტები ჩვენ ვართო, არწმუნებდნენ ქვეყანას. მათ ევროპიდან საგანგებო დელეგაცია ჩამოიყვანეს, რომ თავისი სოციალისტობა დაემტკიცებიათ, მაგრამ გამოჩნდა თუ არა ინგლის-ამერიკის ოფიცრები, მენშევიკები ფრონტში ჩადგენ და მათ შეკითხვაზე ასეთი „რაპორტი“ მისცეს: ჩვენ სოციალისტები არა ვართო.

შეიძლება ვინმემ თქვას: ეს დიპლომატია იყო, აბა რა უნდა ექნათო —ეს ყოვლად შეუწყნარებელია.

დ. თოფურიძე ისეთი გულუბრყვილო არ გახლავთ, რომ არ სცოდნოდა, რომ ჩიკაგოს პროფესორებს ვერ მოატყუებდა. დ. თოფურიძემ ის თქვა, რაც სინამდვილეში იყო, რასაც სხვა სოციალ-დემოკრატებიც ამბობდენ ხანდისხან. განა დამფუძნებელი კრების წევრი კლიმიაშვილი არ იყო, რომ მენშევიკების პარტიულ ყრილობაზე განაცხადა: ჩვენი—მენშევიკების მოღვაწეობა რადიკალ დემოკრატიულია. მასში არაფერი სოციალისტური არ არისო?! (იხ. ყრილობის ანგარიშები „ერთობა“-„ბორბაში“). დამფუძნებელ კრებაში ერთმა მეზღაპრულ დეპუტატმა უთხრა ერთხელ მენშევიკებს: ბატონებო, დროა აქ რევოლიუცია გავათავოთო.

ამაზე მენშევიკები აღშფოთდენ, ხოლო ჯუღელმა ტრიბუნიდან ასე უპასუხა მეძაღლე ჯვენი დეპუტატს: რევოლიუციას მაშინ გავათავებთ, როცა სოციალიზმს დავამყარებთო. ჟორდანიას მთავრობამ დამფუძნებელ კრებას დეკლარაცია რომ წარუდგინა, იქ სიტყვა სიტყვით შემდეგი ეწერა: მთავრობა მიზნად ისახავს **რევოლიუციის გაღრმავებასა და გაფართოვებასო.**

რას ამბობს დოკუმენტი რევოლიუციის შესახებ?

ამერიკის იმპერიალისტები ეკითხებიან მენშევიკებს: გინდათ თუ არა რევოლიუცია გააგრძელოთო.“

მენშევიკების წარმომადგენელი უპასუხებს: რას ბრძანებთ. ჩვენ რევოლიუცია უკვე გავათავეთო.

მენშევიკებმა რომ რევოლიუცია ადრე გაათავეს, ამას მოწმობს, როგორც მთელი მათი მოღვაწეობა, ისე მათი განცხადებებიც; მაგ. ნ. ჟორდანიამ დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან საქვეყნოდ განაცხადა: „**პერმანენტული რევოლიუცია პერმანენტულ შიმშილს ნიშნავსო**“.

ერთი სიტყვით „ვეჯმნი სოციალიზმისაგანო“—ასეთია დოკუმენტის მთელი შინაარსი.

მაშ ვინ არიან მენშევიკები, რას ემსახურებიან ისინი?! ამაზე გარკვეულ პასუხს იძლევა იგივე დოკუმენტი ისევ მენშევიკების პირით. იმპერიალისტები ეკითხებიან მენშევიკებს: რა მდგომარეობაშია თქვენში მიწის საკითხი, მართალია თუ არა, რომ მიწები ყველას უნდა ჩამოართვანო? არაო, უპასუხებს მენშევიკი. **გლეხებმა დაატყვევეს ხაზინის მიწები.** ამან მთავრობა აიძულა ამ საკითხის გადაჭრა თვითონ თავის თავზე აეღო. მთავრობამ სულ ჩაიბარა 220000 დესეტინა. მთავრობას სურს ეს მიწები მიყიდოს მიწათმფლობელებს. **კერძო საკუთრების პრინციპი ჩვენში დაცულია**“.

მოკლედ რომ ვსთქვათ, მენშევიკები ეფიცებიან იმპერიალისტებს, რომ ისინი ერთგულნი არიან კერძო საკუთრების პრინციპის, არიან მისი დამცველნი.

„საუბრის დროს, განაგრძობს მენშევიკების წარმომადგენელი, შევეხეთ საკითხს ხელფასის და შრომის პირობების შესახებ, გვითითებდენ იმაზე, რომ ჯამაგირები არანორმალურად დიდი, ხოლო კაპიტალი კი მძიმე პირობებშია ჩაყენებული. „მე ვუპასუხე, რომ მთავრობას ესმის ამ პირობების ანორმალობა და აუცილებლად მიაჩნია შექმნას კაპიტალისათვის ხელსაყრელი პირობებიო.“

ეს კიდევ ცოტაა, მთელი ჩვენი არსებით თქვენთან ვართ და თქვენთან ერთად ვიბრძოლებთ, პირდებიან მენშევიკები იმპერიალისტებს.

ერთი სიტყვით, რისი სოციალიზმი, რისი რევოლიუცია. ჩვენ ვიცავთ კერძო საკუთრებას, ვზრუნავთ კაპიტალის კეთილდღეობისათვის, ვიყავით და ვიქნებით თქვენი ერთგულნიო, აი, ესეთია მენშევიკების აღსარება, მათი ფიცი იმპერიალისტების წინაშე.

ანტანტის იმპერიალისტებმა მენშევიკებს ეგზამენი გაუკეთეს და ამ გამოცდაზე სამარცხვინოთ დამარცხდა მენშევიკური სოციალიზმი!“

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ამნისტია

მოსკოვი, 6 ნოემბ. (რადიო). სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება. საბჭოთა რუსეთი სამ წელიწადზე მეტი იბრძოდა მუშებისა და გლეხების შეიარაღებულ მტრებთან. აუარებელი მსხვერპლი, გაჭირვება და გამარჯვებები გადაიტანა მშრომელმა მასსებმა. მძიმე და შეუპოვარი ბრძოლის დროს საბჭოთა მთავრობამ იცოდა, რომ რუსეთის მშრომელი მასსები მოტყუილებისა და ძალადობის საშუალებით ათასობით იბრძოდა მუშა-გლეხის ხელისუფლებისა და ფაბრიკანტების მხარეზე. ეს მოტყუილებული ხალხი მიყვებოდა ომში რისთვის სრულიად უცხო საქმისათვის და როდესაც მოხვდენ სხვა ქვეყანაში, ისინი მიატოვეს ბედის ამარად. ისინი დარჩენ მშობლიურ სოფლებსა და ქალაქებს გარეთ. შეუბრალებელმა ბედმა გაფანტა ისინი მთელი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. მუდმივი გაჭირვება, რუსეთის და საზღვარგარეთელ თეთრ გვარდიელების დაცინვა, მძიმე მუშაობა, ავადმყოფობა და სიკვდილი უცხო ქვეყანაში—აი, იმათი ხვედრი, რომლებიც მოხვდენ მუშა-გლეხების მტრების მოტყუილების ანკესს. ბევრი ათასი მოტყუილებული ამ ჟამათ სამხედრო კონცენტრაციულ ბანაკებში იმყოფება, ბევრი იძულებით სამუშაოებზე მუშაობს. ისინი იტანჯებიან იქ უკვე წელიწადზე მეტი, ნაწილი მოტყუილებით ან იძულებით გაიწვიეს თეთრ ჯარში სხვა და სხვა ავანტიურისტებმა, რომლებმაც ჯერ კიდევ არ დაკარგეს იმედი დაამხონ მუშა-გლეხების ხელის უფლება და გაამეფონ მემამულე-ფაბრიკანტები, საბჭოთა ხელის უფლებას არ შეუძლია გულგრილათ უცქიროს ამ მუშა-გლეხების ბედს, რომლებსაც, შეიგნეს რა თავის შეცდომა, უნდათ სამშობლოში შემოსვლა, რომ აქ თავის შრომით გამოისყიდონ შეცდომები და ხელი შეუწყონ სახალხო მეურნეობის აღდგენას. გამოდიოდა რა ამ მდგომარეობიდან დიდი ოქტომბრის რევოლიუციის 4 წლის თავის აღსანიშნავად, სრულიად რუსეთის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა: 1) გამოცხადდეს ამნისტია ყოფილი ჯარის კაცად ბოჭმულ პირებისა, რომლებიც მოტყუილებით ან იძულებით იბრძოდენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და მონაწილეობდენ კოლჩაკის, დენიკინის, ვრანგელის, სავინკოვის, პეტლიურას, ბულაკ-ბალახოვიჩის, პერემიკინის და იუდენიჩის სახედრო ორგანიზაციებში და ამ ჟამად იმყოფებიან პოლონეთში, რუმინეთში, ესტონეთში, ლიტვაში და ლატვიაში. 2) მიეცეს მათ საშუალება დაბრუნდენ სამშობლოში საერთო წესით, როგორც სამხედრო ტყვეები 3) დაევალოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს, შინაგან საქ. სახალხო კომისარიატს და განსაკუთრებულ კომისიას, რომ მიიღოს ყველა ზომები რათა უზრუნველ იქნეს ის უფლებები, რომლებიც მინიჭებულია ამ დადგენილებით.

სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტ. თავმჯ. **მ. კალინინი.**
მდივანი **ა. ენუქიძე.**
მოსკოვი—კრემლი, 8 ნოემბ. 1921.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ჰოლანდია.

გაფიცვა ჰოლანდიაში.

მოსკოვი. 8 ნოემბერი. (რადიო). როტერდამის, უტრეხტის და ჰოლანდიის სხვა ქალაქების მელითონეები რიცხვით 25 000 კაცი. 31 ოქტომბერს გაიფიცნენ ქირის შემცირების გამო.

გერმანია.

ამხ. ჩიჩერინის ნოტის გარშემო.

მოსკოვი, 8 ნოემბერი. (რადიო). ბერლინში აღნიშნულია გაძლიერებული მოთხოვნილება რუსეთის განძლიერებაზე, რაც აიხსნება ფართო პერსპექტივებით, რომლებიც იშლება რუსეთის ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამო. საფრანგეთის პრესა, რომელიც ჯერ კიდევ უცდის ახალი პოლიტიკის გამო ოფიციალურ შეხედულებას, გამოურკვეველ მდგომარეობაშია.

ჩინეთი.

რევოლიუცია ჩინეთში.

ბერლინი. 4 ნოემბერი. „ნიუ-იორკ-ჰერალდი“ იტყობინება: მოკავშირეების 6 სამხედრო გემი სასწრაფოთ გაემგზავრა ჩინეთის ნაპირებისაკენ ევროპიელების დასაცავად ჩინეთში. ეს გამოწვეულია იმით, რომ ჩინეთში იფეთქა რევოლიუციამ. რევოლიუციონერებს ნაწილობრივად მიემხრო ჯარიც. მოკავშირე ჯარებს დაკისრებული აქვთ ევროპიელების დაცვა იმ რაიონებში, რომლებსაც რევოლიუციონერები უშენენ ხარაზნებს.

ქრონიკა

◆ **შავი-ქვის მრეწველობა.** ფოთის ნავთსადგურში უკვე დასრულებულია ყველა წინასწარი სამუშევარი შავი-ქვის გასაგზავნათ: ააწყვეს ონკანები, ექსპორტის მისაზიდავი გზები ორი ორთქლმავალი და სხვა რკინის გზის მოძრავი შემადგენლობა. პირველ რიგში განზრახულია გაიგზავნოს 1.150.000 ფუთი პიროკსიტი, რომელშიაც არის 80 85 პროც. წმინდა შავი-ქვა. თანახმად „ჩემო“-ს წარმომადგენლის ამხ. შულცის განცხადებისა დაქირავებული გემები უნდა მოვიდეს ფოთში ახლო მომავალში, პირველათ მოვა 2 გემი რომელიც დაიტევს 300.000 ფუთს.

◆ **საქართველოს სამხედრო გზა.** სამი დღის შეჩერების შემდეგ ქარ ბუქის გამო საქართველოს სამხედრო გზის უღელტეხილზე ლიანდაგი გაწმენდილია თოვლისაგან და ავტომობილებით მიმოსვლა აღდგენილია.

◆ **საქონლის შესყიდვა.** გაერთიანებულმა საგარეო ვაჭრობამ ნება დართო ამიერ კავკასიის ცენტრალურ სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოებას შეისყიდოს საქონელი ბათუმის ბაზარზე, სხვა ცენტრალურ კოოპერატივების ორგანიზაციებთან ერთად.

საბჭოთა მართლმსაჯულება

სია.

იმ საქმეებისა, რომლებიც დანიშნულია სესიისათვის სხვა და სხვა ქალაქებში:

ქ. შულავერში.

12 ნოემბერს ეფიმ ვაკულინის ბრალდება კონტრ-რევოლიუციაში. 13 ნოემბერს: ეკატერინოფელდის რაიონის მილიციის და რევკომის ბოროტმოქმედების შესახებ.

ქ. სიღნაღში.

18 ნოემბერს: დავით ჭაბაშვილის კონტრ-რევოლიუცია.

ქ. თელავში.

20 ნოემბერს: ბაქრაძე, ბაშიძე—მკვლელობა. 21 ნოემბერს: გოგელაძის და დათიაშვილის—თანამდებობის დროს ბოროტ-მოქმედება.

2) იოსებ ჩიქოვანის და ლაფაჩურის—შეიარაღებული თავდასხმა.

1921 წ. 31 ოქტომბერს ს. ს. ს. რ. უზენაეს რევტრიბუნალმა საჯარო სხდომაზედ გაარჩია საქმე სახიტარულ ექიმის თანამშრომელ ივანე ოქროპირიძის და მილიციონერ ალექსანდრე გოლუბენკოს შესახებ, რომელთაც ბრალდებოდათ ქრთამის აღება. ჩადენილი ბოროტ-მოქმედება, როგორც წინასწარი გამოძიებით, აგრეთვე მოწმეების დაკითხვით დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, და დაადგინა: ოქროპირიძეს მიესაჯოს 3 წლით იძულებითი საზოგადო სამუშაო თავისუფლების აღკვეთით და გოლუბენკოს 2 წლით იძულებითი სამუშაო თავისუფლების აღკვეთით.

— 1921 წ. 31 ოქტომბერს ს. ს. ს. რ. უზენაეს რევტრიბუნალმა საჯარო სხდომაზედ გაარჩია საქმე მე 2 ლეგიონის წითელ არმიელების ახდორია ბარამიძის და ალექსანდრე ლეჟავას შესახებ, რომელთაც ბრალდებოდათ დარაჯობის დროს ღია ვაგონიდან სახალხო ქონების მოპარვა, და მიიღო რა მხედველობაში, რომ წინასწარი გამოძიებით და მოწმეების დაკითხვით სრულიად დამტკიცებულია ჩადენილი ბოროტმოქმედება და მიიღო რა მხედველობაში, მათი [illegible] თვის [illegible] სახლში ყოფნა, მათი გლეხური მდგომარეობა, შეუგნებლობა, ახალგაზრდობა და იმავე დროს ჯარის კაცის, როგორც ახლად გაწვეულებმა წითელ ჯარში არ იცოდნენ და გაფრთხილებული არ იყვნენ, დაადგინა: ბარამიძეს და ლეჟავას თითო ერთი წლით იძულებითი საზოგადო სამუშაო პირობით თითოს, დღეიდანვე იქმნენ განთავისუფლებულნი და გადაგზავნილნი თავის ნაწილში სასჯელის შესასრულებლად.

საქარ. პროფსაბჭოს გაფართოებული პლენუმი

პროფკავშირთა ცენტრალურ გამგეობასა და ხაფაბ. საქარ. და ადგილობრივ კომიტეტთან ერთად

3 ნოემბერს მუშათა სასახლის საკონცერტო დარბაზში შესდგა პროფსაბჭოს გაფართოებული პლენუმი, პროფკავშირთა ცენტრალურ გამგეობისა, საქარხნო, საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტებთან. სხდომა გაიხსნა 6 ს. 20 წ. ამხ. ლადო დუმბაძის შემდეგ მოხსენებით:

ამხ. ლ. დუმბაძის მოხსენება ნოემბრის 1-თვის განზრახულ საყოველთაო გაფიცვის შესახებ.

ამხანაგებო! ეს სხდომა მოწვეულია საგანგებოდ, რათა გამოქვეყნდეს ამბები, რომლებიც მოხდა ნოემბრის 1-ლს. ალბათ ყველა ამხანაგებმა არ იციან, თუ რა მოელოდა საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში. მე გადმოგცემთ მოკლე მოხსენებას, ამხანაგები კი შემდეგ შეავსებენ მას.

ნოემბრის 1-ლს, 11 საათზე რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში და დეპოში მენშევიკებმა მოიწვიეს მუშების საერთო კრება. მოწვევის საბაბად წამოყენებული იყო საკითხი შესახებ ამ დღეს პურის მიუცემლობის მიზეზისა, როდესაც ამხ. მუშები შეიკრიბნენ და სხდომა გაიხსნა, თავდაპირველად ლაპარაკი პურის გარშემო ტრიალებდა, მაგრამ, როდესაც მოვიდნენ 1-ლ რაიონის ამხ. კომუნისტები, გამოირკვა, რომ კრების მიზანი სულ სხვაა. ე. ი. მენშევიკები ემზადებოდნენ მთელ საქართველოში საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვის მოსაწყობად და ამ მიზნით კრება მაშინათვე გადავიდა პოლიტიკურ თემებზე. კრების მოუწოდებდნენ საყოველთაო გაფიცვაში მონაწილეობის მიღებისთვის და ამასთანავე მუშებს ეუბნებოდნენ, რომ ამგვარი გაფიცვა ყველა ადგილებში უკვე გადაწყვეტილია და რომ რკინის გზის მუშები უნდა სათავეში ჩაუდგნენ ამ მოძრაობას. ილაპარაკეს აგრეთვე ვიღაც დაპატიმრებულებზე, დელეგაციაზე, რუსეთის წითელ არმიის გაყვანაზე. შემდეგ წამოყენებულ იქმნა მოთხოვნანი დამფუძნებელ კრების მოწვევისა. ერთი სიტყვით წამოყენებული იყო ყველა მენშევიკური ლოზუნგები.

საბედნიეროდ მოუსწრეს 1 რაიონის ამხ. კომუნისტებმა, რომელთაც ჯერ პირველად არ აძლევდნენ ლაპარაკის საშვალებას, მათი ხმაც იფარებოდა ხმაურობით. ბოლოს და ბოლოს 1-ლ რაიონის წარმომადგენელმა მოითხოვა თავისთვის სიტყვა საკითხის გამოსარკვევად და, სხვათა შორის, სთქვა, რომ თუ ვილაპარაკებთ პურზე, არავინ არაა ისე უზრუნველყოფილი როგორც რკინ. გზელები. მომარაგებულია ერთი თვის პური და თუ დღეს პური არ მიიღეს—ეს მენშევიკების გაიძვერობაა.

როდესაც დაიწყეს ლაპარაკი დელეგაციის შესახებ, მუშებმა გაკვირვებით განაცხადეს, რომ მათ არაფერი არა იციან რა, თუ ეს რა დელეგაციაა და რანაირი მოთხოვნილებანი წამოაყენა მან.

საკითხის გამორკვევის შემდეგ მუშები წითელ დროშით და სიმღერებით გაეშურნენ დაზგებისაკენ. ნაწილი მუშებისა, მეტად მცირე, არ წავიდა სამუშაოზე.

იმ დროს, როდესაც თავს ვღეწავთ კრიზისს, როდესაც პურს ჰგზავნიან უკრაინასა, ფოთსა და ბათომიდან, მენშევიკებმა მოინდომეს რკინ. გზ. მოძრაობის შეჩერება, რათა სასურსათო მდგომარეობა გამწვავდეს.

რკინის გზაზე მენშევიკებს ოინი არ გაუვიდათ. ვერ მოახერხეს რამე აგრეთვე სხვა ადგილებშიაც. მაგ. ისინი წავიდნენ ქონეულობის, ქარხანაში სადაც მუშაობს 54 კაცი. იქ მათ განაცხადეს, რომ რკინის გზაზე უკვე დაიწყო გაფიცვა და ისინიც უნდა გაიფიცნენ და, თუ ისინი არ გაიფიცებიან, მაშინ მათ წინააღმდეგ მოიხმარებენ შეიარაღებულ ძალას. 40 კაცი არ დაიძრა ადგილიდან, და წასულ 14-დან მალე გაბრუნდნენ 7—8 და შეუდგნენ მუშაობას.

არსენალის კრებამ მენშევიკების გამოსვლაზე იმავე მიზნებით გადაჭრით უარი განაცხადა მათ წინადადებებზე და გამორეკეს ისინი, რის შემდეგ მიიღეს ერთხმად, რეზოლიუცია მენშევიკების გამათახსირებელი და თვითონ განაგრძეს მუშაობა. იმ დღესვე რამდენიმე შეიარაღებული მენშევიკები მივიდნენ საელექტრონო სადგურზე, მაგრამ, როდესაც მეჩანქანემ დაუწყო მუშებს ძახილი საშველად, ისინი გაიქცნენ.

მათ მოახერხეს ცოტა რამის გაკეთება. 1 ნახ. საათით მათ შეაწყვეტინეს მოძრაობა. გზებზე ვაგონები თავის ადგილას არ აღმოჩნდა, ზოგან ისრები ლურსმნებით გაამაგრეს. ეს იყო და ეს.

რომ მათ საყოველთაო გაფიცვის გამართვა უნდოდათ მთელ საქართველოში და ემზადებოდნენ ამისთვის, ჩანს ხაშურიდან გამოგზავნილ დეპეშიდან, რომელშიაც კითხულობდნენ, მოხერხდა გაფიცვა თბილისში თუ არაო.

თქვენ უნდა განიხილოთ ეს საკითხი და მენშევიკებს მათი საკუთარი სახელი უნდა უწოდოთ.

მ. ორახელაშვილის სიტყვა.

ამხანაგებო! მე მიყვარს ჩემი ქართული ენა, მიყვარს აგრეთვე რუსული ენა. ნება მომეცით რუსულათ ვილაპარაკო (ტაში, ხმები: „გთხოვთ“) იმ ენაზე, ამხანაგებო, რომელზედაც გამოიცა მუშურ გლეხურ ხელისუფლების პირველი დეკრეტი. (ტაში) იმ ენაზე, რომელმაც სიტყვა „სოვეტი“ არა თუ მარტო მსოფლიო სიტყვათ აქცია, თვით ამერიკის პოტენტატებშიაც—კი სახალხო სიტყვათ გადააქცია...

რაშია საქმე? მთამ შობა მენშევიკური თაგვი, ისიც მკვდარი. მენშევიკები არ უნდა დაგვემდურნენ იმაზე, თუ ჩვენ პოლიტიკურ თვალსაზრისით დავაფასებთ მათ მოქმედებას. თუ მენშევიკები ამნაირ შემთხვევებში უწოდებდნენ ყველას განსაკუთრებულ რაზმელების შემწეობით, ჩვენც ნება მოგვეცეს მაინც დავაკვირდეთ ამ გაფიცვის საქმეს. მენშევიკებს ჩვენ მტრებათ ვთვლით, როგორც ისინი ჩვენ გვთვლიან თავიანთ მტრებათ. მაგრამ არის საზღვარი მტრობის და შეურიგებლობის.

ამხანაგებო, რომელნიც პირველ დღეს არა მუშაობდით რკინის გზაზე. თქვით—ბოლშევიკები როდისმე მოგიწოდებდნენ რკინის გზაზე გასაფიცავათ (ხმები: არა). ჩვენ ვიცოდით, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი ნერვია ცხოვრებისათვის და ამიტომ მას არ ვეხებოდით იმ მომენტშიაც კი, როდესაც ჩვენთვის თითქოს სულ ერთი იყო, რით გვებრძოლა. არ ვეხებოდით, რადგან პირველ ყოვლისა მშრომელნი დაიტანჯებოდნენ რკინის გზების მოშლით.

თუმცა მუშები არ გაჰყვნენ მენშევიკების მოწოდებას, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, თუ რით გათავდებოდა ეს ცდა, მათი განზრახვა რომ ასრულებულიყო. თქვენ იცით ჩვენ აქ იმიტომ მოვედით, რომ აქ იყო იმპერიალიზმის კრაზანების ბუდე, საიდანაც საბჭოთა რესპუბლიკებს ჰკბენდნენ, საიდანაც საბჭოთა ფედერაციას დიდი შიში ემუქრებოდა.

როდესაც საბჭოთა ფედერაციის განაპირას მდებარეობს დერეფანი, რომლის საშუალებით ანტანტა უცქერის როგორც საბჭოთა ქვეყნებს, ისე აღმოსავლეთს, ნება მოგვეცით ფეხზედ დარაჯად ვიდგეთ ამ საგარაჯოზე.

ჩვენ რომ მოვედით აქ 25 თებერვალს, ხელში გვქონდა პირველი დეკრეტი, რომლითაც ვაცხადებდით ამნისტიას. ამნისტიას ვანიჭებდით ყველას, ვინც კი ჩამოშორდებოდა იმპერიალისტურ ხაზს. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ჩვენ მზათ ვიყავით ყველაფერი დაგვევიწყებინა და შევდგომოდით მშვიდობიან შრომას.

ჩვენ ნება დავრთეთ მენშევიკებს 10 აპრილს შეკრებილიყვენ საოპერო თეატრში, რომ თავიანთ მოქმედების ხაზი გამოერკვიათ. მაგრამ რა თქვენ მათ პასუხათ ჩვენის ისტორიაში უმაგალითო ამნისტიისა და ჩვენის წინადადებისა, ყველა პარტიასთან თანამშრომლობის შესახებ? მათ განაცხადეს, რომ დემოკრატია სიკეთეა, ხოლო საბჭოთა ხელისუფლება—ბოროტებაა, ჯოჯოხეთის ნაშობია. მაშასადამე უნდა გამოეცხადებინათ: ჩვენ თქვენ მტრებათ გვრჩებით. ჩვენ რეპრესიებით როდი უპასუხეთ, რადგან ვფიქრობდით, რომ ცხოვრების ფაქტები მათ სხვა გზას უკარნახებენ. ზედმეტი იქნება იმაზე ლაპარაკი, რომ მენშევიკები, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ წაღებულ სიმდიდრის საშუალებით, აქეზებენ ანტანტას საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ.

ამხანაგებო! ჟორდანია-ჩხეიძის მოწოდება, რომელიც ევროპის ბურჟუაზიულ მთავრობებს მოუწოდებს ძალით შემოიჭრან საქართველოში, ეს განა სამოქალაქო ომი არაა? „ნოეს კიდობანი“ დატვირთული იმპერიალისტური ჯარებით დაბრუნებული, აი რას ელოდებიან აქაური მენშევიკები.

ამხანაგებო, აქ თავმჯდომარემ სთქვა, რომ სამწუხაროთ ჩვენ არ ვიცოდით ის, რაც ხდებოდა. არა, ჩვენ მეტად ბევრი რამ ვიცოდით. იქიდან, რაც მოხდა, თქვენ დაინახავთ მენშევიკების განზრახვის მთელ ფუქსავატობას.

ეხლა ავრცელებენ პროკლამაციებს. მე პორტფელში რამდენიმე მაქვს. მათში მოუწოდებენ ბოლშევიკების წინააღმდეგ შესაერთებლად. ეს იმას ნიშნავს, რომ შეერთდით ყველა კონტრ-რევოლიუციონერებთან, ხოლო მერე გავასწორებთ ერთმანეთში ანგარიშსაო. ეს სისულელეა. როდესაც მუშები განთავისუფლდნენ იმ გაბრუების და სისხლის ბურუსიდან, რომელშიაც ისინი მენშევიკებს ჰყავდათ, მაშინ მუშები მიემხრნენ საბჭოთა მმართველობას. ჩვენ უკვე დავამყარეთ ურთიერთობა უცხოეთის ბაზართან, საიდანაც ზიდავენ პური, ეს მოთმინებას უკარგავს მენშევიკებს, ისინი ხედავენ, რომ მუშები და გლეხები ჩამოსცილდნენ. გაფიცვა რომ მომხდარიყო, იგი ყოველ უწინარეს გავლენას იქონიებდა მუშებზე, რომლებისთვისაც ეს პური მართლაც რომ არსობობის პურია. განა ამის შემდეგ ამ ცდას დიდი ბოროტმოქმედება არ უნდა ვუწოდოთ? საბედნიეროთ, ამ ცდიდან არა გამოვიდა-რა. მუშათა მასსამ ინსტიქტიურათ გაიგო, რა შედეგი მოსდევდა ამას და „ურას“ ძახილით წავიდა დაზგებისკენ. ეს „ურა“ ამტკიცებს, რომ ამ პარტიას უგალობეს საუკუნო ხსენება და „წმინდათა თანა განუსვენე“ (ტაში). ეს ამტკიცებს, რომ მუშათა კლასმა იცის, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს იგი იქნება არა თუ მარტო წარმოების პატრონი, იგი მაძღარიც და ჩაცმულიც იქნება.

ამხანაგებო! დამარცხების შემდეგ ეს პარტია ყველაფერს გაბედავს, იგი ადგენს და ჰგზავნის პროკლამაციებს, რომლებშიაც ნათქვამია რაღაცა დელეგაციის დატუსაღებაზე, მთავრობის თავმჯდომარის ბ. მდივანის მიერ, ვითომ ეს უკანასკნელი ორ საათს ესაუბრა დელეგაციას, ხოლო მერე დაატუსაღაო. არაფერი ამის მსგავსი არა ყოფილა. მე გარწმუნებთ, რომ აღნიშნულ დღეს არც მთავრობის თავმჯდომარესთან, არც რევკომის რომელიმე წევრთან არავითარი დელეგაცია არა ყოფილა, არავითარი მოლაპარაკება არ ქონებია, არც წერილობითი მოთხოვნა წარუდგენია და სახლებში არავინ დაუტუსაღებიათ. მაგრამ ასეთი სიყალბე სჭირდება იმ პარტიას, რომლისთვის პოლიტიკური საფლავი უკვე გათხრილია და ელის ძვირფას ცხედარს.

ამხ. ორახელაშვილის სიტყვა დაიფარა ტაშის ცემით.

თოპაძის სიტყვა.

ამხ. თოპაძე თავის სიტყვაში დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატების სახელით წინადადებას იძლევა, სერიოზულად მოეპყრან ამ ფაქტს. რაც შეეხება დელეგაციას, აცხადებს, რომ იმათმა პარტიამ არა იცის რა, ხმები კი დელეგაციის შესახებ დადის.

კახიანის სიტყვა.

კახიანი იწყებს იმის გადმოცემას, რაც გაუგონია დელეგაციის შესახებ და აცხადებს, რომ ეს დელეგაცია 9 კაცისაგან შემდგარი წარმოადგენდა 5000 მუშის ინტერესს, რომ ეს იყო მიღებული მთავრობის თავმჯდომარისაგან, შემდეგში კი დატუსაღებული. კითხვაზე, თუ ვინ ამოირჩია ეს დელეგაცია, კახიანი წინადადებას იძლევა, დაეკითხონ თვითონ დელეგაციას. როდესაც მას კითხვა მისცეს, ამტკიცებს ის თუ არა, რომ დელეგაცია იყო მთავრობის თავმჯდომარესთან, კახიანი იძლევა მიკიბ მოკიბულ პასუხს.

ამხ. მახარაძის სიტყვა.

მახარაძის გამოსვლას ყრილობა შეხვდა ხანგრძლივი ტაშით. ამხანაგებო! აქ ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ მუშათა კლასის შორის არ უნდა იყოს განხეთქილება და მუშებმა უნდა იქონიონ ერთობა. მუშათა კლასი იყო ერთიანი და ის დარჩება ერთიანი. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია, ანგარიში არ გავუწიოთ მუშათა კლასის ისტორიას და პრაქტიკას უკანასკნელ 3—4 წელში, არამც თუ რუსეთში, არამედ მთელ ქვეყანაზე. როგორ შეგვიძლია ჩვენ ვთქვათ, რომ მუშათა კლასის შორის არ არის განცალკევება. თქვენ იცით, რა არის მე-3 და ორ ნახევარი ინტერნაციონალი. მსოფლიო პროლეტარიატი ერთიანია, მაგრამ ამ გიგანტიურ ბრძოლაში ის იმყოფება ხან ერთს და ხან მეორე ბანაკში. ამსტერდამის ინტერნაციონალი, რომელიც არის ძალა მუშათა კლასისა, იმყოფება კაპიტალისტების გავლენის ქვეშ, რაც გავლენას ახდენს მუშათა კლასზე. მე გავიხსენებ სიტყვებს იმ ამხანაგისას რომელიც ლაპარაკობდა, რომ არ უნდა იყვეს განცალკევება და ჩვენ ამას ვესწრაფვით. როდესაც ეხლა მუშათა კლასს აქვს ღონისძიება მოაწყოს ცხოვრება თავის ხელით, როდესაც მუშათა კლასს უნდა ხელთ იგდოს წარმოება, სწარმოებს ბრძოლა. ეს ბრძოლა დაიწყო არა დღეს და გათავდება არა ხვალ. იბრძვიან ჯერ დიდი ძალები, რასაკვირველია, შეუძლებელია, რომ მუშათა კლასმა არ დაუშვას შეცდომა. ყველა ამას აქვს თავის საფუძვლები.

მუშათა კლასის ხსნისათვის, გამარჯვებისათვის მოგიწოდებთ განთავისუფლდეთ იმ ელემენტებისაგან, შავ-ელემენტებისაგან, რომლებიც აცხადებენ, ვითომდა არის რაღაც დელეგაცია, რომელსაც შეუკრებია 5 000 ხელმონაწერი, რომლის შესახებაც მუშების უმრავლესობამ არაფერი არ იცის. როდესაც ასეთ კრებაზე კეთდება ასეთი განცხადება, მაშინ მე ვფიქრობ, რომ ამ ამხანაგებში არის რაღაც სიბნელე. ეს ავანტიურაა. პური ვერ დაურიგეს, მართალია ეს დიდი უბედურებაა, მაგრამ უნდა გამოირკვიონ, ვინ არის დამნაშავე, საბჭოთა ხელისუფლება თუ კერძო აგენტები, თუ ეს პროვოკაციაა.

მელაშვილის სიტყვა.

მემარცხენე სოციალ-ფედერალისტების სახელით მელაშვილი აცხადებს: რომ ყველა საკითხი, რომელიც ამ კრებაზე წამოიჭრა, მისთვის სრულიად ახალია. ისინი შეეკითხნენ თავიანთ რაიონებს, მაგრამ მიიღეს პასუხათ, რომ არჩევნებში მონაწილეობა არავის მიუღია და დელეგაციის შესახებ არაფერი იციან, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას დელეგაციის არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია და არც მხარს უჭერს მათ.

ილაპარაკეს აგრეთვე ამხანაგებმა კილოსანიძემ, ყურულაშვილმა, ვირაპმა, ლოლოშერიძემ, აზერბაიჯანის რკინის გზების წარმომადგენელმა ამხ. ეგოროვმა, რომელთა სიტყვების შემდეგ მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია და მოწოდება.

რეზოლიუცია

საქართველოს პროფესიონალურ კავშირების საბჭოს პლენუმმა, ქალ. ტფილისის ქარხნებისა და ფაბრიკების კომიტეტებთან ერთად, მოისმინა რა ცნობა მენშევიკების მორიგ პროვოკაციის შესახებ, რომლებიც შეეცდნენ საქართველოს პროლეტარიატის გაძლიერებულ მუშაობის დროს ჩაეშალათ მუშაობა დანგრეულ მეურნეობის აღსადგენად და ამით გაეუარესებინათ მუშათა კლასის მდგომარეობა, სამარცხვინო დაღს ასვამს გამცემლებს და მოუწოდებს მუშათა მასსებს, მედგრად იდგნენ რევოლიუციის სადარაჯოზე და რუსეთის თავის მოძმეების მსგავსად, დაუზოგველად გააძევონ ისინი თავისი წრიდან.

გაუმარჯოს საქართველოს მუშათა კლასს, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, გაუმარჯოს მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალს.

რეზოლიუციის წაკითხვას ყველა დამსწრენი მიეგებნენ ხანგრძლივი და ძლიერი ტაშით და რეზოლიუცია ერთხმად იქმნა მიღებული.

მოწოდება მუშათა ორგანიზაციებისა და ყველა მშრომელთადმი.

ზემოდ მოყვანილ რეზოლიუციის მიღების შემდეგ, ამხ. ვირაპი აქვეყნებს ცენტრალურ საბჭოს შემდეგ მოწოდებას საქართველოს მუშათა ორგანიზაციებისა და ყველა მშრომელებისადმი:

„ამხანაგებო, ქართველ მენშევიკების სამი წლის ძალმომრეობითი ბატონობა გათავდა 8 თვის წინად სრული დამარცხებით. მათმა კონტრ-რევოლიუციონურმა შინაგანმა და საგარეო პოლიტიკამ მიიღო ღირსეული შურისძიება საქართველოს მუშებისა და გლეხების საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით.

თავიანთ სამარცხვინო გაქცევის დროს მენშევიკებმა გზა და გზა ძარცვეს მთელი საქართველო, ოქროსა და განძეულობასთან ერთად მათ დაიტაცეს მშრომელთა ფართო მასსების მოსახმარებელი საგნები. მათ ნამეტნავად ბარბაროსულად დაანგრიეს რკინის-გზები. მენშევიკების ნაწილი გადავიდა დასავლეთის იმპერიალისტების ბანაკში, საიდაც ეწევა აგიტაციას, ინტრიგებს, ჭორებს, ცილის წამებას და პროვოკაციურ ხმებს და საქვეყნოდ მოუწოდებს ევროპის ბურჟუაზიულ მთავრობებს, საქართველოში შემოსაჭრელად და აქ საბჭოთა ხელისუფლების ჩამოსაგდებათ. ბურჟუაზიულ წესწყობილებისა და შელახულ ბურჟუაზიულ საკუთრების სახელით, ხოლო მენშევიკების მეორე ნაწილმა ისარგებლა საბჭოთა ხელისუფლების დიდსულოვან ამნისტიით და დარჩა საქართველოში არა იმ მიზნით, რომ მუშურ გლეხურ ხელისუფლებასთან ეთანამშრომლნა, არამედ იმიტომ, რომ წყალი ემღვრიათ და საშუალება არ მიეცათ, რომ წამებულ გაძარცულ ქვეყანას თავისი ჭრილობები მოერჩინა და შესდგომოდა შემოქმედებით სამეურნეო აღმშენებლობას.

საქართველოს მუშათა კლასმა და ყველა მშრომელებმა უკვე შეიგნეს ის სიცრუე, რომლითაც მათ აბრუებდნენ მენშევიკები თავიანთ სამი წლის ბატონობის დროს. მუშები თვალნათლივ ხედავენ, რომ ერთად ერთი ხელისუფლება, რომელსაც შეუძლიან თავის თავს უწოდოს მუშურ გლეხური, არის საბჭოთა ხელისუფლება, მიუხედავათ იმ გაჭირვებისა და ტანჯვისა, რომელნიც უანდერძეს იმპერიალისტურმა ომმა და მენშევიკების ბატონობამ, ყოველ მხრივ ღარიბ და გაქურდულ საქართველოს მუშები ძალზე მუშაობდნენ თავიანთ სოციალისტურ სამშობლოს აღსაორძინებლათ. თავის მხრივ საბჭოთა ხელისუფლება ყოველნაირათ ცდილობს, მუშათა და ყველა მშრომელთა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ და თავის მიზან შეწონილ რევოლიუციონურ პოლიტიკით აჯანსაღებს ქვეყნის სამეურნეო სხეულს, რომლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭ. ხელისუფლება საქართველოში
ახალი ეკონომიური პოლიტიკა და სასურსათო სახალხო კომისარიატის ამოცანები

საბჭოთა ძალაუფლების დამყარებით საქართველოში უკანასკნელისათვის, კვლავ შეიქნა შესაძლებელი რუსეთთან მჭიდრო ეკონომიური გაერთიანება.

წინად საქართველო სცხოვრობდა რუსეთთან მჭიდრო ეკონომიური ერთიანობით. ის დაკავშირებული იყო მის მოუწყობლობასთან, მის ფინანსებთან და უკანასკნელად მის სასურსათო ოპერაციებთან, ვინაიდან პური შემოჰქონდა რუსეთიდან, რითაც ავსებდა თავის სოფლის დანაკლისს. ამისთვის, როდესაც ეს დამოკიდებულება შეიცვალა—საქართველოს წინაშე დაისვა სერიოზული საკითხი თავის-თავის გამოკვების შესახებ. ეს პრობლემა იყო თითქმის გამოუცნობი. მთელი მოშლილი ეკონომიური კრიზისის და ასეულ მოთხოვნილებების საგანი, მას, ფინანსიური სიდუხჭირის და „ქვეყნის შინაური ლიმიტების" ოქროსა და ვალუტის [illegible], არ შეეძლო, [illegible] არც საკუთარი [illegible] და არც კრედიტით, საკვები პროდუქტების დამზადება. ამისათვის [illegible] ის, რომ მენშევიკურ მთავრობას დაახლოებული ჰქონდა მიზნად საქართველოში ბურჟუაზიული სახელმწიფო. კაპიტალისტებს მიცემული ჰქონდათ ყოველივე უფლებები და შესაძლებლობა ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებისათვის ინიციატივის გამოჩენის საქმეში.

რუსეთის პროლეტარიატის სამოქალაქო-სასიცოცხლო ომის დროს ბურჟუაზიულ ოპოზიციასთან საქართველო გამოეყო რევოლიუციონურ რუსეთს. ოქტომბრის რევოლიუციამ დააფრთხო საქართველოს სოციალ-შოვინისტი მოაზრებლები და გადაისროლა ისინი პროლეტარიატის წინააღმდეგ ევროპიულად მებრძოლთა ბანაკში.

ცდამ, წარმოებულმა მენშევიკურ „დამოუკიდებელ" საქართველოს არსებობის დროის განმავლობაში, დამოუკიდებელ მეურნეობის აღმშენებლობის საქმეში, დაამტკიცა მენშევიზმის სრული სიკოტრე. მენშევიკების ბატონობის დროის განმავლობაში ფული ყოველდღიურად კარგავდა ღირებულებას. წარმოება უკვე აღარ იძლეოდა იმდენ სარგებელს, რამდენსაც იძლეოდა სპეკულიაცია.

ამისთვისაც შემოზღუდვილი საქართველოს ბაზარი გაივსო შემყიდველ—ჩარჩებით. ბურჟუაზიას აღარ [illegible] საწარმოო ძალების განვითარება, შედეგად საქართველოსაგან შექმნილ იქნა სპეკულიატური სახელმწიფო, ეკონომიურად სრულიად დამოკიდებული ანტანტის გაიძვერობისაგან. ანტანტის სახელმწიფოთა ეკონომიური კავშირის დამყარებას, არ შეეძლო მიეცა მენშევიკებისათვის რაიმე კარგი ეკონომიურის მხრივ, ვინაიდან ანტანტის პოლიტიკა საქართველოსადმი იყო წმინდა კოლონიალური. ის მიმართული იყო იმ მხრით რომ ამოეწოვა ქვეყნიდან მისი რესურსები და გამოეყენა მის ბაზარზე დაბალ ხარისხოვანი საქონელი, რომელიც ვერ საღდებოდა სამშობლოში, სწარმოებულ ქვეყნებში. სასურსათო პროდუქტებიც იგზავნებოდა საქართველოში სრულიად ცუდი ხარისხის.

ასეთი იყო მდგომარეობა გადატრიალებამდის. საბჭოთა ძალაუფლების დამკვიდრებამ ერთბაშად შესცვალა მდგომარეობა. გაიხსნა შესაძლებლობა რუსეთთან მჭიდრო ეკონომიური გაერთიანებისა. ამ გაერთიანებამ მას გაბაქანი მისცა სასურსათო საკითხების გადაწყვეტაში რამდენიმედ, ერთბაშად გაიოკა საკითხი სასურსათო დანაკლისის შევსების შესახებ.

სოვეტიზაციის პირველ კვირეებში, როდესაც ჯერ კიდევ სასურსათო აპარატები არ იყო მომართული—რუსეთიდან საქართველოს გაუწია საგრძნობი სასურსათო დახმარება.

1921 წ. 1 მარტიდან 1 ოქტომბრამდე საქართველოში შემოვიდა რუსეთიდან პურის ნაწარმოები 233.665 ფ. 35 გ. 15 ვაგონი შაქარი, 600 ვაგონი მარილი, 720.000 არშ. მანუფაქტურა, 6,000 წყვილი ფეხსაცმელი და სხვა. ასეთმა დახმარებამ შესაძლებლობა მოგვცა უფრო აუჩქარებლად მოგვეწყო სასურსათო საქმიანობა.

უკანასკნელ ხანებში გარკვეულად გამოისახა ამ მუშაობის ის ძირითადი ხაზები, რომლებიც ნაკარნახევია საქართველოს მდგომარეობით და იმ პრინციპებით, რომლებიც გამომდინარეობენ ე. წ. ახალ ეკონომიურ პოლიტიკიდან.

ეს პოლიტიკა არ შეიძლება შეურიოთ პოლიტიკას, მიმართულს კერძო კაპიტალისტურ რეჟიმის წასახალისებლად, მისი წმინდა სახით. უწევს ის ანგარიშს მის დადებით მხარეებს, ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების საქმეში, ის ყველაფერში ატარებს პრინციპს სახელმწიფო საშუალებების განსაზღვრულობისას ისეთ ფარგლებში, როგორც ამას მოითხოვს წარმოების ინტერესები.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა მოითხოვს სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციებისათვის გადასვლას მეურნეობის ანგარიშიანობაზე.

მეურნეობითი ანგარიშიანობა იწვევს ზუსტ აღრიცხვას წარმოებითი და ფინანსიურ კომერციულ მხარეებისას თვითეულ წარმოების თუ მეურნეობის ორგანიზმის მუშაობაში, რომლებშიც მოქმედებენ შეგნებლად კი არა, არამედ ანგარიშით, იციან რა სახალხო მეურნეობის რომელ მხარეს ისინი ემსახურებიან და ამ მეურნეობის თვალთახედვით, რა სარგებლობა მოაქვთ.

ამ პრინციპებთან შეთანხმებით არის აშენებული სახალხო სასურსათო კომისარიატის პოლიტიკაც.

სასურსათო კომისარიატს დაკისრებული აქვს ერთი მთავარი ამოცანა — მომარაგება რესპუბლიკის მცხოვრებთათვის სურსათის და სხვა ფართო ხმარების საგნებისა.

ეს მოვალეობა აწვება სახელმწიფოს სამი მთავარი ჯგუფების მიმართ.

მძიმე სასურსათო მდგომარეობა და ფინანსიური დაუდგრომლობა გვითითებს ხელფასის ნატურალიზაციაზე.

ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო გამოდის როგორც მწარმოებელი, რომელიც იძლევა ხელფასს ნატურით. სასურსათო რესურსების რაოდენობის მიხედვით, სახელმწიფო ამცირებს ანადიდებს იმ ჯგუფების რაოდენობას.

ამ ჟამად სახელმწიფო, სასურსათო კომისარიატის სახით, მაწოდებს სურსათს მხოლოდ იმ ჯგუფებს, რომლებიც აუცილებლად საჭირონი არიან მისთვის წარმოებაში—სახელმწიფო მრეწველობაში.

ეს ის დარგებია, რომლებიც არსებითად საჭირონი არიან სახალხო მეურნეობისთვის რომლებსაც აქვთ საერთო სახელმწიფოებრივი მეურნეობის მნიშვნელობა. უკანასკნელად, ეს ის ჯგუფებია, რომლების დანაწილება არ არის პირდაპირი დახმარება კერძო მომხმარებლებისა ფულის გადახდის ნიადაგზე.

მეორე ჯგუფი უახლოვდება პირველს იმ მოსაზრებით, რომლითაც გამოწვეულია მისი მომარაგება.

ეს ჯგუფი არ არის რა ჩაბმული უშუალოთ წარმოებაში ემსახურება სახელმწიფოს მეორე მხრით—მის ადმინისტრატიულ და კანონმდებლობითი მოღვაწეობაში, თავდაცვის საქმეში და ყველა დარგებში, სადაც სახიერდება კონკრეტიულ ფორმებში სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლება. ეს ჯგუფიც განსაზღვრულია შეუვალ საჭიროების ფარგლებით და მისი მოღვაწეობის აუცილებლობით სახელმწიფოებრივ ცხოვრებისათვის.

უკანასკნელად, მესამე ჯგუფი შესდგება ელემენტებისაგან, რომლის მომარაგება სახელმწიფომ უნდა აიღოს თავის ხელში, რადგან მათ დაკისრებული აქვთ განსაზღვრული ფუნქციები ან და იმყოფებიან განსაზღვრულ სოციალურ მდგომარეობაში.

ეს ჯგუფი შესდგება იმ პირებისაგან, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფოს დასაცველ და აღსაზრდელ დაწესებულებებში და თავშესაფრებში. ასეთია მოღვაწეობა სახელმწიფოსი (სასურსათო კომისარიატის სახით).

მის განსახორციელებლად სასურსათო კომისარიატის განკარგულებაში უნდა იყოს განსაზღვრული რესურსები.

როგორ აგროვებს ის ამას თავის ხელში? პირველ ყოვლისა მის ხელთ არის იმ რესურსების აკრეფა, რომლის გაღება დაკისრებული აქვთ მოქალაქეთ, როგორც ბეგარა სახელმწიფოს სასარგებლოდ. ეს არის—ნატურალური სასურსათო გადასახადი. ნატურალური გადასახადი—ეს ახალი საქმეა, რომლის მოსაგვარებლათ გვიხდება ხანდახან სიახლეული და მოქმედება შეუცნობლად და სიფრთხილით.

„სასურსათო გადასახადი მდგომარე წელს სასურსათო კომისარიატისათვის უფრო მეტად „ახალი საქმეა", რომელიც დაგვანახვებს ნაკლს, ამ ჟამად შეუმჩნეველს და გაუთვალისწინებელს. ამ მხრით სასურსათო კომისარიატის მიერ შესრულებულია დიდი და საინტერესო სამუშაო, რომელიც მნიშვნელოვანია არა მარტო წმინდა სასურსათო, არამედ ორგანიზაციული და ეკონომიური მხრივ. შემდეგ, სასურსათო კომისარიატი ამზადებს სასურსათო ნაწარმოებს კერძო შეთანხმების ნიადაგზე მწარმოებლებთან, სასურსათო და ფართო ხმარების საგნების მეპატრონეებთან.

სასურსათო კომისარიატი ყიდულობს აწარმოებს ფულით და საქონლის გადაცვლის ნიადაგზე.

უკანასკნელად, მომარაგების მესამე წყარო, ეს არის მოწოდება საქონლისა საბჭოთა რუსეთიდან. თავის მიზნების განსახორციელებლად სასურსათო კომისარიატს აქვს ადგილობრივი სამაზრო ორგანოები—სამაზრო სასურსათო კომიტეტები, რომლების მოვალეობას შეადგენს სასურსათო-საადმინისტრაციო და განაწილების ფუნქციები. რესურსების შესაძენად სასურსათო კომისარიატს აქვს მოწყობილი ცენტრალისტური სისტემის აგენტურა, რწმუნებულები, რომლებიც უწევენ დამზადებას საქმეს უშუალოდ და რომლებსაც დავალებული აქვთ კონტროლი გაუწიონ კონტრაგენტებს, კოოპერატივებს და სათ კავშირებს.

უკანასკნელებს, სასურსათო კომისარიატი უფრო და უფრო აბამს სასურსათო მოღვაწეობაში. მთელ რიგ მათგანთან დადებულია ხელშეკრულებები სასურსათო პროდუქტების დამზადების საქმეში. ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირთან კი (ცეკავშირი) დადებულია გენერალური ხელშეკრულობა.

სასურსათო კომისარიატის აქტიური ზეგავლენით, რომელიც მიზნათ ისახავს რესპუბლიკის კოოპერატიულ მოღვაწეობის ხელმძღვანელობასაც, უკანასკნელ ხანებში აღსდგა მუშათა კოოპერატივები.

სასურსათო კომისარიატი იწყებს მათ ხელში გადაცემას გეგმიან განაწილების ფუნქციების.

თავის პირდაპირ სამუშაოსთან ერთად სასურსათო კომისარიატი აწარმოებს აგრეთვე სამუშაოს საექსპორტო სავალიუტო ნედლი მასალის დამზადების სახით.

უკანასკნელი ამოცანა სასურსათო კომისარიატმა ხელში აიღო იმისთვის რომ მას უკვე მოწყობილი აქვს აპარატი, სრულებით შეგუებული ხსენებულ სამუშაოსთვის, რომელიც ითხოვს მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით შტატის გადიდებას, იმის ნაცვლად, რომ შექმნილ იქნას მთელი სისტემა ახალი ორგანოებისა.

ერქომაიშვილი.

წარმოებითი ძალა ისე საფუძვლიანად იყო შერყეული, მენშევიკების მიერ.

აღდგენილია და მუშაობენ რკინის გზები, ფაბრიკები ქარხნები. მუშაობენ ქვა-ნახშირის მაღაროები, იღვიძებს ხანგრძლივ ძილისაგან [illegible] მრეწველობა. სოფლის მეურნეობა საბჭოთა ხელისუფლების აგრარულ რეფორმის ცხოველ სხივების გავლენით ცოცხლდება და ვითარდება. საბჭოთა საქართველო მკვიდრი საგარეო სავაჭრო ურთიერთობით უკავშირდება ევროპის და ამერიკის მდიდარ ბაზრებს და უცხოეთიდან დიდი გემები, ნაცვლათ ანტანტის ფეროვან ჯარებისა, რომლებსაც მოელიან მენშევიკები, ეზიდებიან ბათუმსა და ფოთის ნავთსადგურებში ხალხის მასის საჭიროებელ საგნებს პურს, შაქარს და სხვას და აგრეთვე სამრეწველო წარმოებათა მოწყობილებას. ყველგან დღეს შეთანხმებული მუშაობა საბჭოთა სამეურნეო ორგანოების და მუშათა მწარმოებელ ორგანიზაციებისა. ყველანი მუშაობენ, ყველანი წყნარათ არიან.

მაგრამ სწორეთ ეს აიძულებს მათ იმუშაონ არა ქვეყნის ასაღორძინებლათ, არამედ ხელახლათ დასანგრევათ, აქამდე ფარული მათი დამქცევი მუშაობა ეხლა ყველასთვის აშკარა ხდება სრულიად უცნობ, არავისგან არ ამორჩეულ დარწმუნებულ დელეგაციის დატუსაღების მოტივებით, რომელსაც ისინი „მუშათა დელეგაციას" ეძახიან, მენშევიკების აგენტებმა ჩვეულებრივ სიცრუის და პროვოკაციის საშუალებით სცადეს პირველ ნოემბერს გაფიცვა გამოეწვიათ რკინის გზაზე და აგრეთვე თფილისის სხვა წარმოებებში.

ეს ცდა—მორიგი ბოროტმოქმედებაა გაკოტრებულ კონტრრევოლიუციონერებისა, რომლებთაც არაფერი აქვთ დასაკარგი ყოფილ დემოკრატის ღირსებაც კი.

მაგრამ, ამხ. რკინისგზელები როგორც სხვა მუშები და მშრომელნიც არ წამოეგნენ პროვოკაციისა და ცილისწამების ანკესზე.

მენშევიკებით შელახულ გრძნობას მათ არ შესწირეს მსხვერპლად თავისი და საბჭოთა ხელისუფლების სასიცოცხლო ინტერესები. მათ დასცინეს მენშევიკების რეაქციონურ განზრახვას და ვაშას ძახილით განაგრძეს მუშაობა, რომლიდან მენშევიკებს შეეძლოთ მხოლოდ ერთი საათით მოშორება რკინის გზის სახელოსნოების და დეპოს მუშებისა, საზიზღარ მოტყუების გზით.

ამხანაგებო! მენშევიკები გაშიშვლებული არიან: მუშების ხელებით, საშინელ უბედურების გზით, რომელშიაც ჩავარდებოდნენ ყველა მშრომელნი რკინის გზაზე მოძრაობის შეჩერების შემთხვევაში, მენშევიკებმა მოიფიქრეს ერთი წუთით მაინც თავის პარტიის გვამის გამოცოცხლება, ისტორიის მიერ სასაკლაოზე გადასროლილისა.

მენშევიკები გამასხარავებულნი არიან: მათ მიერ განზრახული საყოველთაო გაფიცვა დამთავრდა მათი საყოველთაო დამარცხებით, მუშათა მასებმა მიუთითეს მენშევიკებს, რომლებიც მოუწოდებდნენ მუშაობის შეჩერებისაკენ, კარებისკენ და ამით დაამტკიცეს, რომ მათ რიგებში მენშევიზმს ადგილი არ აქვს. მაგრამ, ამხანაგებო, არ შეიძლება ამით დავმშვიდდეთ. შეუძლებელია რკინისგზებისა და საბჭოთა ქვეყნის სხვა სამეურნეო ძარღვების დატოვება პოლიტიკურად გაკოტრებულთა შემთხვევითი დარტყმის შიშის ქვეშ.

უნდა ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს ყოველი შესაძლებლობა ამგვარ გამოსვლებისა რეაქციონურ ავანტიურისტების მხრივ, რომლებიც 3 წლის განმავლობაში თამაშობდნენ მშრომელთა მასების და სასიცოცხლო ინტერესებით, იმპერიალისტთა სადიდებლათ რომელნიც ამ ჟამად ცდილობენ მუშურ-გლეხურ საქართველოს ცხოვრების დაშლას რათა საშინელების კლანჭებში ჩააგდონ მუშები და გლეხები, ოღონდაც კი დაამხონ საბჭოთა ხელისუფლება და გაუკაფონ გზა ანტანტას იმპერიალისტთა ეტლს.

მუშები უნდა იმყოფებოდნენ სადარაჯოზე, როგორც თავის ინტერესებისა, აგრეთვე წარმოების ინტერესებისა, რომელიც ამ ჟამად იმყოფება მათ ხელში და რომელიც ამ ჟამად ნაყოფიერდება მათი შრომით არა კაპიტალისტთა მოგებისთვის, არამედ მუშათა დიქტატურის გასამაგრებლათ ბურჟუაზიაზე და მის მონაწილეებზე.

საქართველოს პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო.

ამ მოწოდებას ყველა დამსწრენი თბილისის პროლეტარიატის წარმომადგენელნი შეეგებნენ მქუხარე ტაშით, რის შემდეგ დამსწრეთა მიერ შესრულებულ იქმნა ინტერნაციონალი.

შრომის სახალხო კომისარიატის მოქმედება

(1921 წლის მარტიდან ნოემბრამდე)

(დასასრული, იხ. „კომ." № 205)

ჩვენ მიერ გადაწყვეტილ იქმნა მუშათა სასარგებლოდ 78 კონფლიქტი, მეწარმოებელთა სასარგებლოდ—7 კონფლიქტი, ხოლო 13 კონფლიქტი გათავდა მონაწილეთა მორიგებით.

ივნისიდან ჩვენ ხელში გადმოდის მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც არ იქნენ გადაწყვეტილნი საქ. პროფ. კავშ. საბჭოს ნორმის მომწესრიგებელ განყოფილებაში. ასეთი საქმე გადასწყდა შვიდი. კონფლიქტების შესახებ ადმინისტრატიულ სასჯელს კავშირები ატარებენ შრომის სახალხო კომისარიატის შემწეობით.

შრომის სამინისტროსთან არსებული შრომის კომისიები და მათი ორგანოები ადგილობრივ (რწმუნებულნი, რომლებიც სასყიდელს არ იღებდნენ შრომის სამინისტროსაგან) ჩვენ მიერ გადაკეთებულ იქნენ შრომის დაცვისა და ინსპექციის განყოფილებებად, ცენტრალურ ორგანოთი შრომის სახალხო კომისარიატთან.

მათი მუშაობის პირველი ორი თვე (აპრილიდან) მოუნდა შინაგან აპარატების ორგანიზაციას, ინსპექტორების ქსელის გაფართოებას, ფაბრიკებსა, ქარხნებსა და სახელოსნოებში შრომის დაცვის იაჩეიკების მომუშავეთა მომზადებას და შრომის დაცვის შესახებ კანონების შემუშავებას.

მუშაობა აპარატების ორგანიზაციის საქმეში დასრულებულად უნდა ჩაითვალოს. ყველა წარმოებასა და დაწესებულებასთან უკვე მუშაობს შრომის დაცვის იაჩეიკა, ხოლო რესპუბლიკის ყველა თვალსაჩინო რაიონში—შრომის ინსპექცია.

შრომის ინსპექციების მიერ გაწეულ მუშაობას ნათლად გვიჩვენებენ ის ციფრები (460), რომლებიც ეხება მათ მიერ დათვალიერებულ-გამოკვლეულ სამრეწველოებს.

განყოფილებასთან არსებობს ტექნიკური ინსპექცია, რომელიც მენშევიკების დროსაც არსებობდა, მხოლოდ სახელით, ფინანსთა და ვაჭრობისა და შრომის სამინისტროსთან (სამრეწველო ინსპექცია). ეს ინსპექცია, ტექნიკურ მეთვალყურეობის გარდა, განაგებს ორთქლის ქვაბების მეთვალყურეობის საქმესაც, იგი შრომის ინსპექციასთან ერთად 273 ჯერ იყო სამრეწველოებში, 53 ჯერ გასინჯა ქვაბები და 12 ჯერ მოახდინა გიდრავლიური გამოცდა.

ჩვენ შევქმენით სასანიტარო ინსპექცია, რომელიც წინად შრომის სამინისტროსთან არ არსებობდა. მან 246 ჯერ დაათვალიერა სამრეწველოები, თანაც იგი სანიტარიასა და ჰიგიენაზე ლექციებსა და მოხსენებებს კითხულობდა.

განყოფილებასთან მუშაობენ შრომის ინსპექტორი-ქალები, რომლებიც განაგებენ განსაკუთრებულად ქალთა შრომის დაცვის საქმეს და შრომის ინსპექტორების ასისტენტები, რომლებიც ინსპექტორებთან ერთად თვალყურს ადევნებენ წარმოებებს და სპეციალად იცავენ მცირეწლოვანთა და მოზარდთა შრომას.

რათა შრომის დაცვის დარგისთვის უფრო მომზადებული მუშები გვყავდნენ, ჩვენ შევქმენით სამთვიანი კურსები მუშებისათვის. როდესაც ეს კურსები ორმოც მომზადებულ მომუშავეს მოგვცემენ, შესაძლებელი გახდება მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

შრომის დაცვის განყოფილებასთან ნოემბრამდე არსებობდა სოციალური დაზღვევის განყოფილება, რომელიც ხელმძღვანელობდა სავადმყოფო კასის საქმეობას. ეს სავადმყოფო კასა თავისი კანონმდებლობით დავტოვეთ, მაგრამ საკმაოდ გავაფართოვეთ მისი ფუნქციები და დახმარების ფარგალი. დაზღვევა ეხება სავალდებულოდ ყველასთვის, ვინც დაქირავებულ შრომას ეწევა; დაზღვეული განთავისუფლებულია შესატანის ტვირთისაგან და სარგებლობს შემწეობით და საექიმო დახმარებით შრომის უნარიანობის დაკარგვის ყველა შემთხვევაში. თითქმის ყველა სამაზრო ქალაქში მოეწყო კასა (მენშევიკების დროს-კი 14 იყო). საერთო რიცხვი კასის წევრებისა 80 ათასია, მენშევიკების დროს-კი მხოლოდ 9000 იყო.

ჯერ არ გათავებულა საბოლოოდ საქ. პროფ. კავშირების საბჭოსათვის გადაცემა იმ სამუშაოებისა, რომელიც ეხება შრომის დაცვისა და შრომის ნორმის მოწესრიგების დარგებს, მაგრამ 1-ლი დეკემბრისთვის ეს მუშაობაც დასრულდება. დაზღვევის საქმეთა განყოფილება-კი შრომის სახალხო კომისარიატში დარჩება იმ დრომდე, ვიდრე მისი ბედი უმაღლეს სახელმწიფოებრივ ორგანოებში არ გადაწყდება.

მენშევიკების დროს ზოგიერთ ქალაქებში ქალაქის თვითმართველობებთან არსებობდნენ შრომის ბირჟები. ყოველგვარ უფლებას მოკლებული, საცოდავ მდგომარეობაში მყოფი, ეს შრომის ბირჟები მხოლოდ უსიცოცხლო რეგისტრატორების როლს ასრულებდნენ ადგენდნენ მხოლოდ იმ მუშაობის მძებნელთა სიებს, რომლებიც შემთხვევით მოჰყვებოდნენ იქ.

შრომის სახალხო კომისარიატმა—კი თავის არსებობის პირველ დღიდანვე ეს ორგანო სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის ორგანოდ გადააქცია. მან თავის ძირითად მიზნად დაისახა შრომის ბაზრის რეგულიარიზაცია. ამ აზრით მან შრომის სახალხო კომისარიატთან შექმნა მუშა-ხელის აღრიცხვისა და განაწილების განყოფილება, რომლის ინიციატივითაც შრომის განყოფილებებსა და ინსპექტორებთან დაარსდა მუშა-ხელის და საკორესპონდენტო პუნქტების ქვე-განყოფილებანი. ამ ქვე-განყოფილებებმა ბრწყინვალედ დაასრულეს მუშა-ხელის (უმუშევართა) სათადარიგო ძალთა აღრიცხვის საქმე და ამ ჟამად ისინი მუშაობენ შრომის მოთხოვნილებისა და წინადადების საქმის უფრო რაციონალურად მოწყობაზე (ექსპერტიზა, მოთხოვნილების შემოწმება და სხვა).

მთელი ხნის განმავლობაში, 1 მარტიდან 1 ნოემბრამდე, რესპუბლიკაში წინადადება იყო (მუშაობის მოსურნე) 30,225 კაცისაგან, მოთხოვნილება—23163 კაცისაგან, მუშაობაზე გაიგზავნა—11,484, მიღებულ იქნა—5,596. 4306-ს შესახებ ცნობები არ არის. მენშევიკების დროს—კი 1918 წლის განმავლობაში მუშა-ხელის აღრიცხვის, მოთხოვნილების და წინადადების მთელი ოპერაცია 906 კაცით გამოიხატა.

მოკლე ანგარიშში შეუძლებელია მუშა-ხელის მოძრაობის მთელი ანალიზის დასურათება, ამიტომ მხოლოდ აღვნიშნავ იმას, რომ მიუხედავად საქართველოსთვის უმუშევართა ასეთი დიდი ციფრისა, ჩაწერილთა 30—40 პროც. სრულიად უვარგისია შრომისათვის (ზოგს განსაზღვრული პროფესია არა აქვთ, ზოგი ხანში შესულია და სხვა) და კვალიფიციურ მუშა-ხელის რიცხვი საჭიროზე ნაკლებია.

ამ მოკლე მიმოხილვაში შეუძლებელია მოვათავსოთ მოქმედება სტატისტიკის განყოფილებისა, რომელმაც, შრომის დაცვის განყოფილებების დახმარებით, ყველა ცენტრში მოახდინა წარმოებათა და დაწესებულებათა აღწერა და გამოარკვია იმ მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი, რომელნიც მრეწველობაში არიან ჩაბმულნი. აღწერის ერთად-ერთ მიზნად ისიც იყო, რომ გამორკვეულიყო წარმოებებში მომუშავე ქალებისა, მცირე წლოვანებისა და მოზარდების რაოდენობა.

შეუძლებელია აგრეთვე ჩამოვთვალოთ შრომის სახალხო კომისარიატის სხვა სამუშაოები, ამ ბოლო დროს მომწიფებული და დამზადებული (მუშათა შრომისა და ტვირთ-საზიდ ბეგრის განყოფილებისა, ბრძოლა შრომის დეზერტირობასთან, მოწესრიგება შვებულებისა, დაწესებულებიდან დაწესებულებაში გადასვლისა, უმთავრესად—კი მოწესრიგება აღრიცხვის განყოფილების იმ მუშაობისა, რომელიც ეხება სასოფლო მეურნეობის საჭიროებას მუშა-ხელში წელიწადის სხვა და სხვა დროს)

დასასრულ, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ შრომის სახალხო კომისარიატი ამ ბოლო დროს უფრო და უფრო აწესრიგებს განუხორციელებელ შრომის ორგანიზაციის საქმეს (აღრიცხვა და განაწილება, განდანაწილება, მობილიზაცია, ნებაყოფლობით მიზიდვა მუშაობისაგან თავისუფალ მუშა ხელისა), მაშინ, როდესაც პროფკავშირების საბჭო უმთავრესად აწყობს წარმოებაში განხორციელებულ შრომის საქმეებს (ტარიფი, შრომის დაცვა, სადისციპლინო სასამართლო და სხვა).

ამასთან ერთად ეკონომიურ პოლიტიკის ახალ პირობებში შრომის სახალხო კომისარიატი, ისევე, როგორც რუსეთის ს. ს. ფ. რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატი მოიქცა, „უნდა შეუთანხმდეს პროფკავშირების საბჭოებს იმის შესახებ, თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღოს მან, როგორც შრომის სახელმწიფო რეგულიატორმა, შრომის პოლიტიკის ახლად აღორძინებულ დარგებში, რომელიც ითხოვს სახელმწიფოსაგან მოწესრიგებას, კონფლიქტებში, ტარიფებში და სხვა" (რ. ც. კ. მე 4 სესიის რეზოლიუცია).

ეხლა—კი საქართველოს შრომის კომისარიატი შრომის ორგანიზაციის დარგში უეჭველად წარმოადგენს მუშათა და გლეხთა რევოლიუციონური ხელისუფლების პოლიტიკურ აპარატს.

ა. მიქაძე.

წარმოებიდან პროფკავშირებში

მკვებავთა პროფკავშირის მუშამოსამსახურეების ცხოვრებიდან.

26 ოქტომბერს შესდგა ყველა ადკომების საერთო კრება ამხ. სეფე ლეკიშვილის თავმჯდომარეობით. მდივნობდა პავლე ოსეთინი. დღიურ წესრიგში იყო ოთხი საკითხი: 1. მოხსენება [illegible] კავშირის მუშაობის შესახებ, 2. მოხსენება ადგილებიდან. 3. მოხსენება პროფკავშირების მოძრაობიდან და 4. მიმდინარე კითხვები. კავშირების მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ლეკიშვილი, რომელიც შეეხო იმას თუ როგორ მძიმე პირობებში უხდებოდა მას მუშაობა. ადგილებიდან მოხსენების შემდეგ გამოირკვა, რომ იქ მუშაობა საშუალოთ მიმდინარეობს. მესამე კითხვაზე ვრცელ და შინაარსიან მოხსენებას აკეთებს თბილისიდან ჩამოსული ინსტრუქტორი ამხ. გიორგი ბეჟანიშვილი, რომელმაც ნათლად გაარკვია ძველი პროფკავშირების მნიშვნელობა. იყო შეკითხვები, რომელზედაც მომხსენებელმა გასცა სათანადო პასუხი. მიმდინარე კითხვებში გაირჩა 5 პროც. ფონდის დანიშნულება, გაირჩა აგრეთვე საკითხი დისციპლინის შესახებ. კრება კმაყოფილი დაიშალა.

ლეკიშვილი.

პროვინციაში

გურია.

გურია ითვლებოდა და დღესაც ითვლება გლეხურ საქართველოს პოლიტიკურ-კულტურულ-იდეურ ცენტრათ. მისი გავლენა ქართველ ხალხზე და მეტადრე—ჩვენ გლეხობაზე დღესაც ძალიან დიდია. ამიტომ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას გურიაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და დღესაც აქვს.

ბოლშევიკურ გადატრიალებამდე გურია, როგორც ცნობილია, ითვლებოდა მენშევიზმის ბუდეთ; არც ერთი კუთხე საქართველოში ისე მოწამლული არაა მენშევიკურ შოვინიზმის შხამით, როგორც გურია. ამ გადატრიალების შემდეგ ჩვენ ყოველი საშუალებით უნდა ვცდილიყავით და უნდა ვცდილობდეთ, ეს კუთხე გავხადოთ პირიქით—ბოლშევიზმის-კომუნიზმის ბუდეთ. თუმცა ეს ძნელათ მოსაგვარებელი საქმე იყო და არის, მეტადრე მოკლე დროში, მარა ეს სიძნელე, რათაც არ უნდა დაუჯდეს, ჩვეულებრივი სიმამაცით და შეუდრეკელობით უნდა გადალახოს კომუნისტურმა პარტიამ.

როგორია მდგომარეობა დღეს გურიაში საბჭოთა რეჟიმის და კომუნისტური პარტიის შვიდი თვის მეთაურობის შემდეგ? ხალხის საკმაო მოზრდილი ნაწილი დღესაც ეჭვით, შიშით და უნდო თვალით გვიყურებს ჩვენ, კომუნისტებს. და ეს მიუხედავათ იმისა, რომ გურიის ღარიბ გლეხობას საკმაო საბუთი უნდა ჰქონდეს საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის მისდამი შეურყეველი ერთგულების და სიყვარულის დამამტკიცებელი. სხვას რომ თავი დავანებოთ, მიწის ორგვარი რეფორმა (მენშევიკურ-სპეკულიანტიური და ბოლშევიკურ პროლეტარული) ხომ საკმარისი უნდა ყოფილიყო იმ უფსკრულის გამოსააშკარავებლათ, რომელიც ძევს მენშევიკებსა და კომუნისტებს შორის მშრომელ და გაყვლეფილ ხალხისადმი დამოკიდებულებაში? მაგრამ არა. მართალია, ერთი ნაწილი მენშევიკური და მენშევიკურათ განწყობილი გლეხობის უკვე გადმოდის (თუმცა კუს ნაბიჯით) კომუნისტების მხარეზე, მარა გვარიანათ საგრძნობი მეორე ნაწილი, უფრო „კაზიონი", შეფიცული და გაყიდული მენშევიკური საწამლავით, ველური სიძულვილით და ცოფიანივით გვიყურებს კომუნისტებს და ჯერაც სასოებით ფიცულობს (გულში მაინც) ჟორდანიების და კომპ. შერცხვენილ სახელს. ეს იმას ნიშნავს, რომ თავის თავად, ბუნებრივათ თანდაყოლილი ძლიერი წვრილ-ბურჟუაზიული გრძნობა—ინსტიქტი-ფსიხოლოგია სრულიათ შეესისხლხორცა მენშევიკურ იდეოლოგიას და კიდევ უფრო გააკაჟა იგი.

საჭიროა ამ გაქვავებული ფსიხოლოგიის და დახავსებული ტრადიციის აუცილებლათ დაძლევა და რაც შეიძლება—ჩქარა. და ეს შესაძლებელია არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც.

უაღრესათ საჭიროა მტკიცე კომუნისტური ორგანიზაცია და სისტემატიური პროპაგანდა-აგიტაცია ფართო მასსაში, თავისუფალი მიტინგი საუბარი, კითხვა. საჭიროა მტკიცე, შეურყეველი პოლიტიკა. კომუნისტური პარტია და კომუნიზმი ფართო მასსების თვალში უნდა გახდეს ჭეშმარიტების, სიმართლის და სამართლიანობის წმინდა დროშათ. რევკომი კი ამ წმინდა დროშას და იდეას ყოველი თავისი ნაბიჯით ფრთხილ უნდა [illegible] და ახორციელებდეს.

პარტიული და რევკომული მუშაობა გურიაში ამ ახალ ხანაში ერთობ მოიკოჭლებს, მოიკოჭლებს ყველა სფეროში, როგორც პროპაგანდა-აგიტაციის, ისე ორგანიზაციულში. მარა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერთი დიდი ნაკლი: საკმაოთ მრავალრიცხოვან პარტიის წევრებს (არა მარტო ახლებს, სამწუხაროთ, ძველებსაც კი) ძალიან აკლიათ კომუნისტური აღზრდა-სკოლა. აქაურ კომუნისტებს (ალბათ სხვა პროვინციებში კიდევ უარესათაა საქმე) ჯერ კიდევ გვარიან ბუნდოვანათ აქვთ წარმოდგენილი დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა საბჭოთა საქართველოში და თავისი საკუთარი კომუნისტური მოვალეობა. უმეტესობას ეტყობა რაღაც აპატია, უხალისობა, გულგრილობა, მოდუნება, სიზანტე და სხ. ალბათ ეს ხალხი საბჭოთა წყობილების დამყარების პირველ დღიდანვე ლამობდა მენშევიკური ჯოჯოხეთიდან ერთი დაკვრით კომუნისტურ სამოთხეში გადახტომას, ოცნებობდა საერთო ბედნიერების მყისვე დამყარებაზე, და როცა სინამდვილეში დაინახეს, რომ ახალი რეჟიმი ჭეშმარიტ კომუნისტებს აკისრებს კიდევ უფრო მძიმე მოვალეობებს და პასუხისმგებლობას დღევანდელ გაძლიერებულ კლასთა ომის ხანაში მსოფლიოს მასშტაბით და მოითხოვს მათგან, როგორც ქვეყნის წინამძღოლთაგან კიდევ მეტ ენერგიას, ენტუზიაზმს, თავგანწირულებას და აურაცხელი გაჭირვების მხნეთ და ხალისით ატანას, მათ მხარი ჩამოყარეს.

საერთო მუშაობას ძალიან უშლის ხელს აგრეთვე: ე. წ. ნათლიმამობა, ენატანიობა, ცრუ დიპლომატობა, რომელიც გადადის მლიქვნელობაში, წვრილმანი კინკლაობა, დაბალი პიროვნების ინტრიგა-დემაგოგია, ახალ გამოჩეკილი კარიერიზმი, ბიუროკრატობა და სხვ. ამის გამო ბრძოლა კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ რომლის სათავეში [illegible] დღესაც მენშევიკები დგანან გურიაში კიდევ უფრო, (ვიდრე საქართველოს რომელიმე სხვა კუთხეში) რაც უეჭველია უნდა შეადგენდეს ყოველი კომუნისტის უპირველეს მოვალეობას, თითქმის სრულიათ მიდუნებულია და იგივ წარმოებს, წარმოებს უსისტემოთ, უთავბოლოთ, უგეგმოთ, უგულოთ, როცა მაგ. ერთი ნამდვილი კომუნისტი დევნის რომელიმე კონტრრევოლიუციონერს, მეორე, ცრუ კომუნისტი, იმავე კონტრრევოლიუციონერს ისეთივე თავგამოდებით იცავს და თავდებობს ნათესაურ ან ძმაბიჭური დამოკიდებულების გამო. ეს სუსტი მხარე ჩვენი კომუნისტებისა კარგათ აქვთ შეგნებული ჩვენ მოსისხლე მტრებს და ამიტომაც არის, რომ არსად საქართველოში ისე თავაშვებული არაა კონტრრევოლიუცია ყოველი ჯურის, როგორც გურიაში. რაც ითქვა წმინდა პარტიულ მუშაობაზე, იგივე, და კიდევ უფრო ხაზგასმით უნდა ითქვას რევკომულ მუშაობის შესახებ, ვინაიდან ამ ასპარეზზე მომუშავეთ კიდევ მეტი „შესაწყნარებელი" საბაბი ეძლევათ უფრო დიდი ცოდვები ჩაიდინონ.

ყველა ამ ნაკლ-დეფექტებზე მითითება იმას კი არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, რომ გურიაში გადატრიალების შემდეგ დადებითად არაფერი არ გაკეთებულა და არც კეთდება. შეიძლება გურია ამ მხრით ყველა სხვა მაზრებს ჯობდეს მთელ საქართველოში, მარა ეს გარემოება ვერ უნდა იყოს გურული კომუნისტებისათვის დამამშვიდებელი, ვინაიდან, მიუხედავათ მრავალგვარი ობიექტიური დაბრკოლებებისა, გურიაში ბევრათ უკეთესათ უნდა იყოს კომუნისტების საქმე დაყენებული.

თავიდანვე, დღიდან გადატრიალებისა ჩვენი პარტიის ხელმძღვანელებმა, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ დაუშვეს შეცდომა: რევკომული მუშაობით ზედმეტათ გატაცება პარტიულის თითქმის სრულიათ მივიწყებით. ეს საზოგადოთ, კერძოთ გურიის მიმართ პარტიულმა ცენტრმა გამოიჩინა სისუსტე და უყურადღებობა, ვინაიდან მან დროზე და სათანადო სისწორით ვერ გახსნა (ან უკეთ—ვერ გადასჭრა) ის დახლართული კვანძი, აგებული მეზობლურ-ნათესაურ ნიადაგზე, რომელიც ძალუმათ აფერხებს აწყობილ მუშაობას გურიაში.

საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ დიდი ხნის განმავლობაში გურია, ისე როგორც სხვა პროვინციები, თითქმის სრულიათ მოწყვეტილი იყო პარტიულ ცენტრს, რაც უდიდეს მიზეზათ უნდა ჩაითვალოს პარტიული მუშაობის შეფერხებისა.

უკანასკნელ ხანებში პარტიის რადიკალურათ გაწმენდის კამპანიასთან ერთად—იმედი უნდა ვიქონიოთ—პარტიული და რევკომული მუშაობის გაჯანსაღებას და გამოცოცხლებას მკვიდრი საფუძველი ჩაეყრება. გურულ ამხანაგებმა პარტიულ დროშაზე უნდა დააწერონ: არა რაოდენობა, არამედ თვისება. სამისოთ ხელსაყრელი მომენტია დღეს.

თავის მტერი.

ბიულეტენი

საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის.

ტფილისი 7 ნოემბერი 1921 წ.

ნაშუად. 1 საათ.

ჰაერის წოლა მმ.: 725.4; ჰაერის ტემპერატ.: 15.9; შეფარდებითი სინოტივე პროც.: 40; მოღრუბლულობა: 3; ქარი № 6.

საღამოს 9 საათ.

ჰაერის წოლა მმ.: 729.2; ჰაერის ტემპერატ.: 6.1; შეფარდებითი სინოტივე პროც.: 88; მოღრუბლულობა: 0; ქარი: № 1; ჰაერის საშუალო ტემპერატურა: 7 ნოემბერი: 84; ნორმალი: 9.2; მაქსიმალი: 17.9; მინიმალი: 11.

დილის 7 საათ 8 ნოემბერი

ჰაერის წოლა მმ.: 728.4; ჰაერის ტემპერატ.: 2.4; შეფარდებითი სინოტივე პროც.: 94; მოღრუბლულობა: 1; ქარი: № 1; ატმოსფერის ნალექი მმ.: — შენიშვნა: ნამი ღამ.

დილის 7 ს. 7 ნოემბერი 1921 წ.

დაკვირვების ადგილი.	ჰაერის ტემპერ.	მინიმ. ტემპერ.	ნალექი მმ.	ქარი	ძლიერი ქარი
ტფილისი . .	3,2	1	—	№№ 2	—
ბორჯომი . .	—	—	—	—	—
ფოთი . .	—	—	—	—	—
სოხუმი . .	—	—	—	—	—

შენიშვნა:

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 88.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

საქართველოს სოც. საბჭოთ რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის ამა 1921 წლის, ოქტომბრის 12-ს დადგენილების თანახმად გამოცხადებულია საყოველთაო ცნობად და სახელმძღვანელოდ:

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ცალკე კავკასიის არმიის რევოლიუციონური ტრიბუნალისა და მის განყოფილებათა გარდა, ამ ჟამად შეუძლიათ მოქმედება შემდეგ სასამართლოებს: სახალხო მოსამართლეთა საბჭოს და სახალხო სასამართლოებს, თანახმად 1921 წ. ივლისის 30-ს დამტკიცებულ დებულებისა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო სასამართლოს შესახებ, საქართველოს რევოლიუციონურ ტრიბუნალებს, თანახმად 1921 წ. აპრილის 3-ს დამტკიცებულ დებულებისა რევოლიუციონურ ტრიბუნალთა შესახებ და სამედიატორო სასამართლოებს, თანახმად საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის მიერ 1921 წ. აგვისტოს 8-ს დამტკიცებულ დებულებისა.

2. ამა ბრძანების 1 მუხლში აღნიშნულის გარდა, ყოველი სხვა სასამართლო გამოცხადდეს გაუქმებულად, მისი განაჩენი და გადაწყვეტილება კი სასამართლოს განაჩენის და გადაწყვეტილების ძალას მოკლებულად.

3. დამნაშავენი ამა ბრძანების შეუსრულებლობისა ან თვითნებობით სასამართლოს დაარსებისათვის ზემოჩამოთვლილის გარდა, მიეცემიან სასტიკ პასუხისგებაში რევოლიუციონური დროის კანონების მიხედვით.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

რევოლიუციონურ კომიტეტის მდივანი **ალ. ხაჩარიძე**

1921 წ. ოქტომბრის 29.

ტფილისი—სასახლე.

— საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელეფ. 3—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-ე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—53.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.

— მე-5-ე რაიონის ბიურო—ბაზრის ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 29.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღება მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

საბჭოთა ხელისუფლების გამოფენა

გამოფენა გაიხსნება 3 დღით: 7, 8 და 9 ნოემბერს, 10-დან 4 საათამდის, ყოფილი არტისტიული საზოგადოების შენობაში; (რუსთაველის პროსპექტი № 19) გამოფენაზე განმარტებას მისცემენ სახალხო კომისარიატების წარმომადგენლები თავიანთ დაწესებულებების ექსპონატების შესახებ. ს. გ. კ. მუსიკალურ განყოფილებას განზრახული აქვს გამოფენაში მონაწილეობა მიაღებინოს ხორის და სოლისტებს. სასურველია, რომ 8 და 9 ნოემბერს გამოფენას დაესწრონ კოლექტივები, ქარხნების და ფაბრიკების მუშები, მოსამსახურეები, მოსწავლეები და სხვა.

რევტრიბუნალის სესია

ა. წ. 10 ნოემბერს უზენაეს რევტრიბუნალის სესია, შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ჩხეიძე, დროებითი კოლეგიის წევრნი მინდიაშვილი და მიქაელიძე, მიემგზავრება ქ. შულავერში გასარჩევად შემდეგი საქმეებისა: ეფემ [illegible], რომელსაც ბრალდება კონტრ-რევოლიუცია და სპეკულიაცია; და შულავერის რევკომის თავმჯდომარის [illegible], რომელსაც ბრალდება ხელისუფლების გადამეტება.

პარტიული

დღეს, 9 ნოემბერს საღამოს 6 საათზე მ. ცხაკაიას სახელობის მუშათა კლუბში (ოლღას ქ. № 3) შედგება კომპარტიის მეოთხე რაიონის წევრთა და კანდიდატთა საერთო კრება.

დღიური წესრიგი:

1) ამხ. ღოღობერიძის მოხსენება—მორიგი ამოცანები ქალაქის მეურნეობაში.

2) ამხ. ერქომაიშვილის მოხსენება ქართულ ენაზე—„მუშათა კოოპერაციაზე".

3) მიმდინარე საქმეები.

— ოთხშაბათს 9 ნოემბერს თბილისის კომიტეტის შენობაში ამხ. დალნია მოხსენებას გააკეთებს ბაქოში მომხდარ ქალთა განყოფილებების გამგეების თათბირის შესახებ.

ინსტრუქტორების დასწრება სავალდებულოა, კომუნისტ ქალების სასურველი.

სხვა და სხვა

თფილისის მაზრის მილიცია ამით აცხადებს, რომ ა. წ. 25 ოქტომბერს მოქალაქე ლუარსაბ ჯანდიერმა თფილისის მაზრის რევკომის ტრანსპორტში წარმოადგინა ნაპოვნი ცხენი. თუ ვინმეს ამ რიცხვში დაუკარგავს ცხენი სათანადო საბუთით გამოცხადდეს შტაბში.

საბჭოთა.

თბილისის მაზრის რევკომის დადგენილებით ა. წ. 12 ნოემბრისათვის გადაწყვეტილია ამავე მაზრის რაიონულ და თემის რევკომთა ყრილობა.

დღის წესრიგი:

1) მოხსენება მომენტზედ (ამხ. ს მგელიშვილი.)

2) მოხსენება ადგილებიდან.

3) მოხსენება მაზრის რევკომის.

4) საბჭოთა აღმშენებლობა და დამოკიდებულება რევკომისა, პარტკომისა და მილიციის შორის (ამხ. მესხი).

5) ახალი ეკონომიური პოლიტიკა (ამხ. ვ. დონაძე).

6) მიმდინარე კითხვები.

რევკომის მდივანი: ვ. დონაძე.

ტირაჟი 10,000